



1964

ზოგიერთი აბიტურიენტი და მწოდლების  
მზადება უმადლეს სასწავლებელში მისაღები  
გამოცდებისათვის.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი





## საქვარალო ნიანგო!

დიდი ხნის სიყვარული აკავშირებდა ორ მეზობელ სოფელს ბოდბეს და მალაროს: ნათელმირნობა და მოყვრობა, მეზობლობა და მეგობრობა, მაგრამ ვიღაცას შეშურდა მათი კეთილი დამოკიდებულება და ბრძანა: ბოდბის ავტოსადგურის სალარო მალაროში გადავიტანოთ. ითქვა და შესრულდა. გაიხსნა ავტოსადგური მალაროში. შავ კატასავით ჩამოიარა ბოდბე-მალარო-თბილისის მიმართულგზით მიმავალმა ლურჯი ფერის ავტობუსმა. მაგრამ ბილეთები არ გაიყიდა. ატყდა წყველა-კრულვა, სირბილი, ყელისწევა და მუქარა. თქვენც არ მომიკვდეთ, ავტო ავტობუსის მძღოლმა ქვა და თავი შეუშვირა. ასე დაიწყო მტრობა ორ მეზობელ სოფელს შორის, ჩივილი ზეპირი და წერილობითი, მუქარა პირდაპირი და დაქადნებითი. დიდი ხნის დავის შემდეგ ვიღაც პროგრესულად მოაზროვნემ ავტობუსი ორ ნაწილად გაყო: მარჯვენა ნახევარი ბოდბეს მიაკუთვნა, მარცხენა ნახევარი — მალაროს.

ტერიტორიული სიანხლოვის გამო მალაროელები სჯობნიან ბოდბელებს, სისხამ დილით მიდიან ავტოსადგურში და იწყება სჯობაასი:

მოლარე: — სადაური ხარ?

მგზავრი: — მალაროელი.

მოლარე: — მალაროელი კი არა, მარცხენა ნაწილიანი, თქვენი ბილეთები გაყიდულია, დარჩენილია მარჯვენა ნაწილიანთა ბილეთები.

მგზავრი — შენ ოღონდ ბილეთი მომეცი და, რაც გინდა ის გავხდები.



ნ.ს. ჯ. ლოლუასი

— რატომ აქვს წვერი მოშვეებული ამ ახალგაზრდას?  
— მხახიობია, ახალ ფილმში იღებენ!  
— ოო... აბა კი მოუწევს წელიწადს მახე სიარული!

მოგლენ სურჯინაკიდებული ბოდბელები მალაროში, ბოდბელებს ავტობუსის სადგურს და იწყება გამათი:

მოლარე: — სადაურები ხართ?

მგზავრი: — ბოდბელები.

მოლარე: მარჯვენა ნაწილიანთა ბილეთები გაყიდულია, ერთილა დარჩენილი; თუ გინდათ, ოთხივეს ერთ ბილეთს მოგცემთ.

გაიყიდება ოთხ კაცზე ერთი ბილეთი, ავტო ბოდბელები ავტობუსში, ჩამოწყდებიან ფეხზე დგომით, გადახედავენ ავტობუსის მარჯვენა მხარეს და აეგებათ ბოდბით გული.

— კაცო, ეს ჯანიკაანთ ნიკა მარჯვენა მხარეზე ვინ დასვა?

— მეც ვე არ მივირის, ვასო?! მარცხენა ნაწილიან შაიშმელაშვილს მარჯვენა მხარეზე რა უნდა?

მძღოლი უბილეთო, ან უფრო სწორად ოქროს ბილეთიანი, მგზავრებით ავტობუსს სილოსის ორმოსავით გამოავსებს, ერთი-ორჯერ ორმოებიან გზაზე რიგაანად ჩააზლავუნებს, გამოვსებულ ორმოს კიდევ უფრო გაძევავს და მერე მოუსვამს თბილისისაკენ. დგანან ბოდბელები ფეხზე, შურიანი თვალებით დაჰყურებენ ბოდბელების ადგილზე გაჭიმულ მალაროელებს და გულში მჯილს ირტყამენ.

ქება და დიდება არ დაიზარო, საყვარლო ნიანგო, ავტოსატრანსპორტო კანტორის იმ მუშაკისათვის, რომელმაც ასეთი პროგრესული წინადადება წამოაყენა, ყველაფერი რომ ბრწყინვალედ არის მოფიქრებული, მხოლოდ ზოგიერთ საკითხს დასჭირდება დახვეწა და იმედია იმაზედაც არ დაგვზარდება.

ბავშვიანი ქალის ადგილი ავტობუსის განაწილებისას მალაროელებს დარჩათ, ბოდბეში კი ბავშვიან ქალს რა გამოლევს. ასევე არ არის გადაწყვეტილი ინვალიდების ადგილის საკითხი. კარგი იქნება, ავტობუსის ფეხზე სადგომი ადგილი თუ სადგომავით არა, ცარცით მაინც გაიყოს შუაზე, რათა ბოდბელები მარჯვნივ დადგნენ და მალაროელები მარცხნივ, არ მოხდეს მათი ერთმანეთში არევიარევა, არ დაირღვეს ავტობუსის ანსამბლური ორხმიანობა.

თუ ეს საკითხი ისევე იქნება გადაწყვეტილი, როგორც სხვა, სადავო აღარაფერი დარჩება.

## 3. კახელიზვილი

### ამხანაგო ნიანგო!

ძალიან მიყვარს ხელოვნება, განსაკუთრებით კინო, ჰოდა, ამას წინათ კინო „ამირანში“ გახლდით, „პარიზის საიდუმლოებას“ ვუცქერდი.

უცბად, სწორედ დამაბულობის დროს დარბაზი აინთო, შეწყდა კინოს ჩვენება.

— შენ აქედან მოუარე...

— შენ აქედან დათვალე.

— არავინ გამოგრჩეთ! — ისმოდა ხმები და რამდენიმე ქალმა ქათმებივით დაგვიწყო დათვლა.

— რაშია საქმე? — აყვირდა ჯერ კიდევ კინოსურათის შინაარსით ბურანში მყოფი ხალხი.

— რა მოხდა? — ვკითხე ერთს.

— ჩვენ, ბატონო, რაიფინგანის მუშაკები ვართ, სალაროებს ვამოწმებთ! — იყო პასუხი.

კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი თვლა, მაგრამ ხან მეტი გამოდიოდა, ხან ნაკლები, ვერ მოხერხდა დაზუსტება, რამაც გამოიწვია ჩვენი დასუსტება!

ამხანაგო ნიანგო, კინოსურათის ასეთ ნახვას რაღა ფასი აქვს? იქნებ შენ უფრო გონივრული ხერხი ასწავლო რაიფინგანის მუშაკებს და შეაგნებინო, რომ სალაროების შემოწმებისას, მაყურებელი არაფერ შუაშია.

## 4. გელათელი

### ძვირფასო ნიანგო!

იქნებ შეეხმიანო ორჯონიკიძის რაიონის № 66 სახლმმართველობის კომენდანტს, რომ როგორმე მოწყალეობა მოიღოს, რა დავაშავეთ ისეთი, რომ პეკინის ორ ნომერში მცხოვრებლებს გულს რომ გვიწყალეებს და წყლის ონკანების გაუქმებით წყალს გვიშრეტს. ასევე შეეხვეწე, ძმაო ნიანგო, იქნებ მოწყალეობა მოიღოს: ამობრძანდეს I სადარბაზო შესასვლელში III სართულზე № 5 ბინაში მოგცეს ონკანი, ონკანი მოგცემს წყალს, წყალი მოგცემს შევბას და ჩვენც იმ წყალს გავატანთ ერთი წლის უწყლობით დაგუბებულ ბოდმასა და ვარამს.

## ხელონოსული





— სეტყვას აპირებს, სამსონიჩ, ვენახი?!  
— არიქა, ნარდი სასწრაფოდ აიტანეთ აივანზე!

ნ.ხ. ნ. მალაზონისი

## „სულელები ყრიან, ჭკვიანები იხვეჭენ“

ბორჯომის ცენტრში, კულტურის სახლის გვერდით ცხოვრობს სონა მკითხავი, რომლის სახელიც ბორჯომის წყალივით ჰქუხს. დილის 4 საათია. სონა მკითხავის ეზო ხალხითაა მოყვნილი. მოხუცებთან ერთად აქ არიან ახალგაზრდა ქალებიც და მამაკაცებიც.

— ბოლო რომელია? — კითხულობს ახლად მოსული ახალგაზრდა მამაკაცი.

— ეჰ, ბოლო მე ვარ, მაგრამ, — თხრავს ახალგაზრდა ქალი, — ვაითუ ტყუილად ველოდებით.

— ტყუილად რატომ? შინ არ არის?

— შინ კია, მაგრამ ყოველდღე არ დებულობს...

— აუჰ... ბიუროკრატი ყოფილა!

— რას ამბობთ, ზოგჯერ განგებას ვერ უკავშირდება ზეცაში და მკითხაობა ამის გარეშე შეუძლებელია.

— მაშინ განგება ყოფილა ბიუროკრატი. ხუთი საათი შესრულდა. სახლიდან ვიღაცამ გამოიხედა.

— როდის მიგვიღებს სონა მკითხავი? — მიცვივდნენ სახლიდან გამოსულს „ჭეშმარიტებისმადიებელნი“.

— ნ საათზე! — იყო მოკლე პასუხი. სონა მკითხავის კლიენტები, რომლებიც სულ სხვადასხვა დარდით იყვნენ გულდახანჯულნი, ერთმანეთს ეცნობოდნენ და ბავშვური გულუბრყვილობით აღიარებდნენ წუხილს:

— ზე ვიკენტი მქვია, — დაიწყო ერთმა

30-31 წლის კაცმა, — გვარად ბაქრაძე ვარ. ერთი კვირის წინათ დავეკარგე .50 მანეთი. მთელი სახლი გადავაბრუნე და ვერსად ვიპოვნე. თანასოფლელებმა მიჩიქეს, ამას სონა მკითხავის მეტი ვერაფერს მიხვდებო.

— მართალი უთქვამთ, — დადასტურა ოციოდე წლის ქალმა ნინა სტეფნაძემ, — სამი დღეა სახლიდან მაზლი წავიდა და დღემდე არაფერი ვიციტ მკვდარია თუ ცოცხალი. დედამთილმა დამარწმუნა, სონა მკითხავი დაყნოსავს მის კვალსო.

— ყველაფერს „ტორი-ტორი“ ხვდება, — ჩაერია საუბარში გიორგი გოგოლაძე, — მართალია სულ 35 წლისა ვარ, მაგრამ საჩხერის რაიონის სოფ. ჯვარში ჭკვიან კაცს მეძახიან, მე და პლატონ ცერცვაძეს ორი სული საქონელი დაგვეკარგა. თავმჯდომარე და ფერმის გამგე გადაგვიკიდებინ ანაზღაურეთო. რად უნდა ავანაზღაუროთ, ჩვენ კი არ დაგვიკლავს, ვიღაცამ მოგპარა!.. ჯერ გვითხრას სონა მკითხავმა, ვინ ჩაგვაგდო ამ ცეცხლში და მერე ჩვენ ვიციტ!

— კაცო, იქნება მგელმა შეჭამა! — თქვა ერთმა.

— საქმეც მაგაშია, გვინდა ვიცოდეთ სიმართლე!

— რასაც საჩხერიდან აქ ჩამოსვლაში დახარჯავდი, ზარალის ანაზღაურებას ქე ეყოფოდა. — იხუმრა ვიღაცამ.

— ხომ გითხარით, მე სიმართლეს ვეძებ, სიმართლეს!

მათ საუბარში შვიდი საათი შესრულდა, მაგრამ სონა მკითხავი კვლავ რბილ ლოგინში ნებივრობდა. ცოტა ხნის შემდეგ სონა მკითხავმა რძალს ასეთი მითითება მისცა:

— გადი და უთხარი მაგ უტვინოებს, დღეს კარტში სწორი პასუხი არ ამოდის და ხვალ მოდიო-თქო. გამოცდილებით ვიცი ასეთი მოქმედება მარკას ერთი ასად ამიწევს... მე კი რას ვკარგავ, დღეს თუ ხვალ ეგ ფული ჩემს ქისაში არ უნდა ჩავიდეს?

მზე მთის წვერზე მხიარულად იღიმებოდა, სონას კლიენტები კი მოწყენილი მიდიოდნენ აქეთ-იქით.

ისინი, ვინც ბორჯომელ მკითხავთან სიარულში ფეხსაცმელებს ცვეთენ და ძვირფას დროს უსაქმურად ფლანგავენ, სონასაც არ ეჭაშნიკება, მას რომ ჰკითხოთ: რაში გაძლევენ ფულსაო, ირონიული ღიმილით გიპასუხებთ:

— მე არ ვიცი ჩემი მკითხაობის ვის სჯერა და ვის არა, მაგრამ ამაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სულელები ყრიან და ჭკვიანები იხვეჭენ.


შეიძლება ამ წერილით ბევრ ცრუმორწმუნეს მკითხავის მისამართი მიეცეთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ამაოდ დაშვრებიან, რადგან სონა მკითხავს, ვფიქრობთ, უკვე გადაუჭრეს პირდაპირი ხაზი გამგებელთან.

ზვიო იუხლელი.










სილაშისათვის დასჯილი

ამერიკელი ქალი ჰეტ ჰოვარდი, რომელიც ამერიკის სატელევიზიო გადაცემათა დიქტორად მუშაობდა, ტელეკომპანიამ სამუშაოდან გაანთავისუფლა... სილაშისათვის (?!). რადგან ამას მოითხოვდნენ ხანში შესული ტელემყურებელი ქალები.




სახლი მოსაირაე ნიანგებით



ლონდონში ვილაც ქალბატონი უენდი უილმორტი ჰყიდის თავის სასახლეს, რომლის სახურავზე გაშენებულია შესანიშნავი ბაღნარი, მოწყობილია აუზები, რომლებშიც ოქროს თევზები დასცურავენ და აივანზე თავისუფლად დასეირნობს ორი ნიანგი.

ლოცვა და სიცილი




ლონდონელმა მღვდელმა პარი ბლეკორმა ამას წინათ განაცხადა, რომ ის იძულებულია შემოიღოს 10-წუთიანი შესვენება, რათა მორწმუნენი გაართოს ანეკდოტებით. მამა ბლეკორის აზრით, ეს მლოცველებს შემატებს სიმხნევებს და კარგ ხასიათზე დააყენებს მათ.



სამხრეთ ვიეტნამის საიქიოს გასტუმრებული პრეზიდენტის ქალიშვილი დიემის ძმის ცოლმა მადამ ნიუმ, რომელიც ამჟამად პარიზში ცხოვრობს, გადასწყვიტა ბიზნესი გააკეთოს თავისი ოჯახის წარსულ სკანდალზე. მან განსაკუთრებული ნიხრი დააწესა პრესის წარმომადგენლებისათვის: ყოველ ინტერვიუსათვის 1 000 დოლარი, ხოლო სურათის გადაღებისათვის — 500 დოლარი.

უტიერთმეთვალუშრობა

ინგლისის სისხლის სამართლის საქმეთა საძიებო ბიურომ (სკოტლანდ იარდი), რომელიც უთვალთვალვებს ცნობილ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, აღმოაჩინა,



რომ თვითონ სკოტლანდ იარდის მუშაკები აღმოჩნდნენ მუდმივ მეთვალყურეობისა და დევნის ქვეშ ბოროტმოქმედთა მხრივ.

ანდერძი და კატები

დოქტორ უილიამ გრიერის ანდერძის საფუძველზე, მისი ოთხი კატის სიკვდილის შემდეგ 416 ათასი დოლარი უნდა მიიღოს ვაშინგტონის უნივერსიტეტმა. ორმა კატამ უკვე განუტევა სული, ხოლო კატა ბრაუნი 13 წლისა და ხელკეტი 14 წლისა, ჯერჯერობით შესანიშნავად გრძობენ თავს: უნივერსიტეტის მესვეურთა შემფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ ჯიშის კატებს თავისუფლად შეუძლიათ იცოცხლონ ორმოც წლამდე.



ნახ. ბ. ლომიძისა





ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღედ იმ დღეს ვთვლიდი, როცა ხელფასით ჯიბედამშვენებული სახლისაკენ გავრბოდი. აბა, წარმოიდგინეთ, შედიხართ სალონში, ცოლი ღიმილით გხვდებათ, გფერხებათ და თქვენი შრომის საყოფიერ დაუყოვნებლივ იცვლის ადგილს — თქვენი ჯიბიდან ცოლის ხელში.

იმ დღეს ხელფასი ავიღე და შინისაკენ მოვკურცხლე.

— კოწოწიას ვენაცვალე, კოწოწიას!.. — და უცებ ერთმა ახმახმა ხელეში მომიმწყვდია, — შენ კი ვენაცვალე, ჩემო კოწოწიას, შენი ჭირიმე, ვერ მიცანი, ბიჭო? ამბერკი ვარ, შენი სკოლის მეგობარი... — როხროხებდა ახმახი.

ჩვენ ერთ წელიწადს მართლაც ერთად ვსწავლობდით და, რა თქმა უნდა, ვიცანი.

— რას შვრები, სად ხარ, ცოლი თუ შეირთე, შეილი თუ გყავს?.. — სეტყვისავით დამაყარა კითხვები.

მეც გულწრფელად მოვიკითხე და, როგორც კი გამომშვიდობება დავაპირე, ხელში ჩანთასავით ამიტაცა და რესტორნისაკენ წამიღო.

— უნდა აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრა, ჩემო კოწოწიას!..

ბევრი ვემუღარე, მეჩქარება, საქმე მაქვს-მეთქი, მაგრამ ამბერკიმ გავონებაც არ ისურვა, მიუჯდა მაგიდას, მომიხსვა გვერდით და ოფიციალტს გასძახა:

— ღვინო, მწვადები, წიწილები!..

მაღე მაგიდა ღვინის ბოთლებითა და საჭმელებით აივსო. გაშალა ამბერკიმ ხელები და პურ-მარილიც ეშხში შევიღა. დიდხანს ვსვით, ვჭამეთ და როცა ოფიციალტი საანგარიშოს ჩხაკუნით მოგვიახლოვდა, ამბერკი უხერხულად შეიმშუშნა, ხან მე შემომხედავდა, ხან ოფიციალტს; თან ჯიბეებს ისინჯავდა, მაგრამ რას იპოვიდა, რაც არ შეუნახავს. მივხვდი, რომ ამბერკის ფული არ ჰქონდა. რას ვიზამდი, ამოვიღე ჩემი ხელფასი, ოფიციალტს ჩავუთვალე და ცარიელ გადმობუნებულ ჯიბეს რომ დავხედე, მივხვდი ტრამეაის ფულიც არ დამრჩენია.

ამბერკი გადამეხვია, გადამკოცნა, ვაუკაცობა შემიქო და სიმღერით გამშორდა.

მე მხოლოდ ის მახსოვს, რომ ცოლი მთელი ღამე იწყევლებოდა. ვერ გეტყვით, მე მწყევლიდა თუ ამბერკის. მთავარი მაინც ის არის, რომ ცოლი აღარ მენდობა და ხელფასის დარიგების დღეს სამსახურში მორბის. თანამშრომლები კი ამბობენ, კოწოწიას ძალიან მოსიყვარულე ცოლი ჰყავსო.

მე მეცინება ყოველთვის ამის გავონებაზე და ვადიდებ მგოსანს, დიახაც, „ვინ რა იცის, რომ სიცილი, ზოგჯერ ტრემლზე მწარეა“.

შ. მარმარაშვილი

ამ ზაფხულს მე და ჩემმა ძმამ გაქირავების მანქანა დავიქირავეთ და პირდაპირ შავი ზღვის სანაპიროსაკენ გავემართეთ. ღამის პირველი ან დიდი-დიდი ორისნახევარი თუ იქნებოდა, ქუთაისს რომ მივუახლოვდით, საფიჩხიას აღმართზე ავედით და გავჩერდით. ღამის ნათურები არ ენთო და გზის მაჩვენებელი ველარ დავინახეთ. არ ვიცით საით წავიდეთ, არადა ტყუილა ხეტიალიც არ გვინდა. ვდგევართ და ვიცდით, იქნებ ვინმე შეგვიანებულმა მგზავრმა გამოიაროს და გზა გვასწავლოს.

უცებ ღიღინი მოგვესმა. მივიხედეთ. შუახანის კაცი სვენებ-სვენებით ამოდის აღმართზე. გავგებარდა და მანქანიდან გადმოვედით.

— ბიძიკო! ბათუმის გზას ვერ გვასწავლით?

— უჰ, რავა ვერ გასწავლი, შე კაცო! თქვენია ეს მანქანა?

კი, ჩვენია.

ჰოდა, ჩაგჯდეთ აბა შიგ და დაგაყუებთ გზაზე.

ჩაგვექით და გავუდექით გზას.

პირველად ვართ აქეთ და ველარ გა-

ვიკვლიეთ გზა. — მოიბოდიშა ჩემმა ძმამ.

— ჰო, უცნობ ქალაქში ძნელია გზის გაკვლევა. მე აქაური კაცი ვარ და ჩემი ხუთი თითივით ვიცი ქალაქი. ისეთი მოკლე გზებით გატარებთ, რომ მალე გახვიდეთ ბათუმის გზაზე. ჯერ პირდაპირ იარეთ... ახლა გადაუხვიე მარჯვნივ... მასე!.. ახლა მარცხნივ... ახლა დაადექი გზას ისევ პირდაპირ და იმ აღმართთან მოუხვიე... ახლა კი ამ სახლთან გამიჩერე...

მანქანა გავაჩერე და კაცი გადმოვიდა, ხელი ორივე ძმას მაგრად ჩამოგვართვა და თავიც დაგვიკრა მადლობის ნიშნად.

— გაგახარათ ღმერთმა. სწორედ კარგ დროზე შემხვდით, თვარა ამაღამ საერთოდ ველარ მოვალწევდი სახლამდე და ქეც მომკლავდა ცოლი. ახლა, ავერ აქანა მოუხვიეთ და ისევ იმ ადგილას მიდით-სადაც იდექით. იქვე მარცხნივ რომ ახალი ფართო გზა იწყება, იმას დაადექით და ღრიხინ-ღრიხინით ჩახვალთ კიდევ ბათუმში.


მ. ბარბაქაძე



ნახ. ი. დოიაშვილისა

ზოგირითი უხეხურთაღის ასოხიასხია

- ბინა
- მანქანა
- რომიხებური



სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, რედაქტორი ნ. შველიძე. ხაქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 17/VI-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შევ. № 1584. უფ. 04401. ტირაჟი 40000



ჭერ კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ საფრანგეთი შესძლებს პრეტენზია განაცხადოს ატომური სახელმწიფოს როლზე. ატომური ძალების შექმნის პირველი ეტაპიც კი დიდ სიძნელებს ხვდება.

ИНДЕКС 76137

საბჭოთა  
საგარეო  
აფიშები

თანამედროვე ღონ-კინობი

